

საქართველოს  
კომუნისტური  
პარტიის ცენტრალური  
კომიტეტი

1990


საგზაო

10

ივლისი

№82 (10319)

ფანი 3 კპ.



პირველი გამოცემა 1990 წლის 1 მარტიდან

საპ. კვ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დემოკრატთა საქალაქო და რაიონული საგზაოების ორგანო  
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ,  
ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

# ს ა გ ზ ა რ ი

## საგზოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობა

1990 წლის 8 ივლისს, კრებულს ყრილობათა სახალხო მუშაობის განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობა.

დიდის სხდომაზე თავმჯდომარეობდა ს. ა. გურენკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობაზე განახლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრების ანგარიშების მოსმენა. სხდომის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ: ლ. ნ. ზაიკოვი და ი. კ. ლიგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მ. ა. შვედინი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ი. დ. მანლიუკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. ი. ვოროტ-

ნიკოვი, რომელიც წინათ რსუსრ უწყნებო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მუშაობდა.

შემდეგ სკკპ 28-ე ყრილობის სამდივნოს მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა მისმა ხელმძღვანელმა ა. ნ. ილინმა.

შესვენების შემდეგ სხდომა მიმდინარეობდა ნ. ა. ნაზარბაევის — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თავმჯდომარეობით.

ყრილობამ მოისმინა და ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ი. ა. მანაევოვმა.

შემდეგ ანგარიშებით გამოვიდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი ვ. ა. კრიუჩკოვი — სსრ კავშირის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომიტეტის თავმჯდომარე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პო-

ლიტიბიუროს წევრობის კანდიდატები გ. პ. რაზუმოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და დ. ტ. იაზოვი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი.

სალამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობამ მოისმინა ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ა. ა. ნივოცევიჩმა.

მოხსენება სკკპ ბიუჯეტისა და ქონების შესახებ გააკეთა ნ. ე. კრუჩინამ.

სალამოს სხდომის დასკვნით ნაწილს უძღვებოდა მ. ს. გორბაჩოვი. ყრილობამ შექმნა ძირითადი პარტიული დოკუმენტების პროექტების მომზადებული კომისია.

1990 წლის 4 ივლისს დიდის სხდომას თავმჯდომარეობდა ი. კ. პოლოზოვი — რსუსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობაზე დაიწყო კამათი განხილული საკითხების შესახებ. მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ: ს. ა. გურენკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. სკოროპოვი — სტავროპოლის მხარის „უპარა-ბი-ჩერქეზეთის“ ტრესტის შემოქმედთა პრიადირი,

ს. ა. პორუჩიკოვი — პენზის ოლქის შემტრინოს რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კირილოვსკის“ დირექტორი, ი. ა. პრუკოლოვი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ა. პეკოვი — როსტოვის ოლქის საწარმოო ვაერთიანება „როსტოვლანჩანის“ გენერალური დირექტორი, ი. ა. კარიშოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი,

უზბეკეთის სს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ი. ვ. არხიპოვი — გოლოვლის ოლქის ჩერკოვეციის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ზეინკელთა ბრიგადირი, ბ. ვ. გიდასოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. გ. ვაშბარაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უწყნებო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი,

ბ. მ. ბელოუსოვი — სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის მინისტრი, ნ. ა. ნაზარბაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ყაზახეთის სსრ პრეზიდენტი, ო. აზიმოვი — ტაჯიკეთის სსრ დეუშანბეს მსუბუქი ტექსტის საწარმოს მძღოლი, ა. ხ. გალაზოვი — სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის უწყნებო საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ი. პეროვი — სკკპ მოსკოვის ოლქის კალინინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი,

ა. ი. ტაბლენიჩევი — ლიბეციის ოლქის ნოვოლიბეციის ი. ვ. ანდროპოვის სახელობის მეტალურგიული კომბინატის პარტკომის მდივანი, ნ. ა. შლიაგა — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

შესვენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა ა. ა. კარიშოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უზბეკეთის სსრ პრეზიდენტი, მოხსენებათა გამოკამათში მონაწილეობდნენ: ა. თ. პონომაროვი — სკკპ ბელგოროდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, ა. ვ. შუტილევინ — სკკპ კიროვის ოლქის საბჭოთა რაიონის მეორე მდივანი, მ. გ. ალიევი — სკკპ დადესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ა.

ხტაროდუბცევი — ნოვომოსკოვსკის რაიონის ლენინის სახელობის ჯიშთანაშენე კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ტულის ოლქის აგროსამრეწველო ვაერთიანება „ნოვომოსკოვსკის“ თავმჯდომარე, ა. ა. პოპოვი — იაკუტიის ასს რესპუბლიკის სკკპ სუნტარის რაიონის პირველი მდივანი, მ. მ. ბურუკიანი — ლიტვის კომპარტიის (სკკპ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. იაგოლი-

ნო — სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. პ. გუსევეტოვი — „ახალგაზრდა კომუნისტთა“ ჯგუფის კოორდინატორი, სკვრელოვსკის საინჟინრო-პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ა. ნ. მუტალიბოვი — ზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ნ. სიდორკინი — შურმანსკის ოლქის „ნორილსკი ნიკელის“ კონცერნის სამოლ-მეტალურგიული კომბინატის „უჩენგაიციელის“ პარტკომის მდივანი, ვ. ნ. შველი — ლიტვის კომპარტიის (სკკპ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ლ. ი. აბალინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სალამოს სხდომაზე ყრილობამ დაამთავრა პარტიული დოკუმენტების პროექტების მომზადებული კომისიების შექმნა.

ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, 8 ივლისს მუშაობა განაგრძონ სკკპ საქმიანობის ძირითად მიმართულებათა სექციებში.

1990 წლის 5 ივლისს მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობამ.

ყრილობის წინა სხდომაზე შექმნილ სექციებში მიმდინარეობდა დისკუსია პარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განახლების, მისი იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, საბჭოებთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებ-

თან და მოძრაობებთან ურთიერთობის საკითხებზე. დიდი დაჟინებით, აწონ-დაწონილად განიხილავდნენ თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხებს.

მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა გარდაქმნის პერიოდში პარტიის სოციალურ-ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკის პრობლემებზე.

ყოველმხრივ განიხილეს და ღრმა გაანალიზეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობა, რომლის მიზანია საზღვარგარეთის პროგრესულ პარტიებთან და მოძრაობებთან მისი ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება.

დღევანდელ მთელ მსოფლიოში რეკომენდაციებსა და წინადადებებს განიხილავდნენ ყრილობის პლენარულ სხდომაზე.

8 2 0 — 9 0

### რაოდენობა და ხარისხი — ორივე ერთად!

62,504 ტონა ჩინათვის ლაშქრობა მთავარ ფაზაში შევიდა. დიდი დღე მტკიცდება მიმდინარე წლის გაზაფხულის პირველი ოთხი დღით გამოწვეული გარდევნა ჩინის წელთაღმარების წარმოებაში. თუ 22 ივლისის სტატისტიკური მონაცემებით შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრფილი იყო 4292 ტონით ნაკლები, მაშინ 9 ივლისს

ონში დაზარადა. 431 ტონა ჩინის მწვანე ფოთლოვანი ნაკლებია შარშან ამ დღეს მოკრფილთან შედარებით. როგორც ხედავთ აღებული ტემპი სულაც არ არის საკმარისი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით არსებულ გარდევნის

გადასაფარავად. მთავარი მიზანია ჩამორჩენის დაძლევა მართო რაოდენობით. ახლა რაოდენობის დაკმაყოფილება უნდა დაეყენოს ხარისხის პრობლემაზე. წელს დიდი გამოცდა ელით გასული წლის მრეწველობის მუშაობას. ქართულმა მეწარმეებმა

სათვის ეს სხვაობა 2839 ტონამდე დავიდა. ამ დღეს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოიქრფა და გადაამუშავებენ პრეწველობას. რ ა ბ ა რ დ ა 28.516 ტონა ჩინის წელს. რაც წლიური გეგმა დავადა ული. რაც წლიური გეგმა დავადა ბის 41 პროცენტით. 8 ივლისს რაი-

რომ გაქვლან მსრფლიო ბაზრის კონკურენტის, სპირთა ამთავიოეუ იზრუნონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ხარისხის პრობლემა კი ძირითადად ახლა მინდობილ რანტაციებში წყდება, არ უნდა დავუშვით აგრძალული ხერხებით მის ფოთლის კრფვა და უკონტროლო ნედლეულის მიტანა ჩინამ მუშაობებზე.

# საზოგადოებრივი მედიის ცენტრი 28-ე ყრილობა

## გ. გუგუშვილის გამოსვლა

ამხანაგობაში საქართველოს კომუნისტური პარტიის თავისი მოლოდინი აქვს ახლანდელი ყრილობისათვის. ამასთან, მას აქვს თავისი მოქმედების კონკრეტული პროგრამა, საკუთარი მიდგომები, შეხედულებანი, საარსებოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის გზები.

ისინი უკავშირდება იმ არჩევანს, რომელიც გადვიწყდა: ან უნდა მივყუდო მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების სივრცეში მდინარეებს, თანაც შევიწინააღმდეგოთ ჩვენი თვითმყოფადობა, ისტორიული კავშირები და მემკვიდრეობა, ან კვლავ მოვუძებნო იმ ჩინში, რომელიც ყალიბდებოდა, განუზოცრებელი იდეოლოგიური მითითებებისა და დეფორმირებული ეკონომიკის საშუალოში გვაბრუნებს.

გარდაქმნის შედეგად საზოგადოებრივი მედიის ცენტრი უფლებები და რეალური შესაძლებლობა, თვითონვე გადაწყვეტოს, როგორი პოლიტიკური არჩევანი გააკეთოს. ჩვენ გაააღმაიანურეთ პოლიტიკა, ავადობდით საზოგადოებრივი პიროვნება, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ჯანდაცვის მართლმართლებათა ფუნქციონირებაში, რომლებიც შეუძლებელია ხელახლა მოვაქციოთ ყაზარმული სოციალიზმის პროგრესს. სარეცელში, ამის ცდა შესაძლოა მხოლოდ ტრაგიკული იქნეს.

ჩვენი აზრით, პროცესების სწორედ ასეთი განვითარების ობიექტურობისა და კანონზომიერებას შევნიშობთ ერთ-ერთი მთავარი შედეგი და დამსახურება პარტიის აპრილის შემდგომი კურსისა, რომელიც მ. ს. გორბაჩოვის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

სწორედ ამიტომ მიხედობა თავიდანვე განმეცხადებინა, რომ საქართველოს კომპარტია, მისი დღევანდელი ყრილობაზე მტკიცედ აღვას ამ კურსს, საზოგადოებისა და პარტიის კარდინალური დემოკრატიული განახლების, აღმართა და უზრუნველყოფის საკითხში. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს პარტიის პატივისცემის მომხრეთა პოზიციას. იგი საბოლოოდ უკუაგდებს კონსერვატიზმს, დოგმატიზმსა და უნიტარიზმს; როგორც პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების დოგმატურ ფორმებს. გარდაქმნის პროცესში დაწყებულია აღმინისტრაციული მმართველობის სისტემის დემონტაჟი. გამოათავისუფლა ენერჯია, რომელსაც საზოგადოება, ეჭვი არ არის,

უწინარესად გამოიყენებს სოციალური თავისუფლებისა და ეროვნული თვითგამორკვევისათვის თავისი განუყოფელი უფლებების დასამკვიდრებლად, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ყოველწინადად ითრგუნებოდა. ამიტომ არავის არა აქვს უფლება, აღმართების სულიერი გათავისუფლების ისტორიული პროცესის წამოწყება პარტიის ბარიერის როლი არგუნოს მძლავრი დემოკრატიული ნაკადის გზაზე, რომელსაც გარდაქმნამ და უღო სათავე.

უკანასკნელი დროის ჩვენი რთული გამოცდილება, განსაკუთრებით ცნობილი შარშანდელი ამბების შემდეგ, გვარწმუნებს, რომ კომპარტია თავის მდგომარეობასა და ავტორიტეტს საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებს, თუ თავის მიზნებსა და ამოცანებს ორგანულად შეუსაბამებს თავისი ხალხის ინტერესებსა და მოსწრაფებებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებენ თავისი პოლიტიკური და ზნეობრივი გაორების დაძლევა, თავისი შეხედულებებისა და პოზიციების თამამად და აწკარად გამოხატვას, დაცვას.

ასეთი არჩევანი საქართველოს კომპარტიამ უკვე გააკეთა თავისი 28-ე ყრილობის პირველ ეტაპზე, როცა პარტიულ ორგანიზაციებს დაუგზავნა თავისი პროგრამისა და ორგანიზაციული-სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებები. თვისურად რომ ვთქვათ, უახლოეს პერსპექტივაში საქართველოს კომპარტიის სტრატეგიის არსს გამოხატავს შემდეგი დებულებები: პირველი. საქართველოს კომპარტიის პროგრამულ მიზნად გაცხადებულია რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენა, სათანადო კონსტიტუციური შექმნის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის დაშუქების რეალისტური პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის გზით;

მეორე. საქართველოს კომპარტია, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, თავის ურთიერთობას ხვდა რესპუბლიკების კომპარტიებთან ამყარებს თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. მესამე. თავისი შემადგენლობით მრავალეროვნული საქართველოს კომპარტია ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის წარმომადგენლების, ავტონომიური ფორმირებების უფლებები და ინტერესები;

მეოთხე. მრავალპარტიულობის პირობებში საქართველოს განახლებული კომპარტიის ამოცანაა სამოქალაქო თანხმობის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტაბილურობას;

დაბოლოს, მესამე. საქართველოს კომპარტიის ეკონომიკური პროგრამა გულისხმობს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელი კომპლექსის რადიკალურ რეფორმას საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე რესპუბლიკის სპეციფიკისა და მისახლეობის მაქსიმალური სოციალური დაცულობის უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით.

ამ ძირითადი ამოცანების განსაზღვრისას ჩვენ იმას ვემყარებით, რომ პიროვნების სუვერენულობის, აღმართის უფლებების, მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი თავისუფლების უზრუნველყოფას გარდაუვალად მივყვართ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის რეალიზაციის აუცილებლობად, უკიდურესად დეფორმირებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის რადიკალურ განახლებამდე.

ამასთან, როდი ვართ ცალმხრივი დეკლარაციების, უღბოპტუმიზმისა და კონფორტაციის მომხრენი, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ სახელმწიფო-სამართლებრივი მშენებლობის პროცესი უთუოდ დასაჩქარებელია, თანაც მრავალ კანონს, რომლებსაც ახლა ვიდებთ, კვლავაც აჩვენია უნიტარისტული ტენდენციების დალი, ეწინააღმდეგებიან ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ მოკავშირე რესპუბლიკისადმი დიფერენცირებული მიდგომის პრინციპებს, რომლებიც ითვალისწინებს ხალხების ისტორიული გზის ნაირგვარობას, მათ ეკონომიკურ და კულტურულ ტრადიციებს, გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მისწრაფებებს.

პარტია ვერ განუდგება ამ პრობლემებს, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავენ დღეს ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესებს და ამგვარი ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ თვისებრივად განახლებული პარტია შეძლებს. წინადადებული დიდი ნაბიჯის მიუხედავად, ჩვენს განსახილველად წარმოდგენილი ყრილობის პროგრამული განცხადებისა და სკკპ წესდების პროექტებს ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. ჩვენი კონკრეტული შენიშვნები და წინადადებები ყრილობის შეხებაში კომისიებს წარედგინება.

პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის შენარჩუნება არ უნდა იყოს ჩვენთვის თვითმიზანი ყველაფერის განსაზღვრელი. არარეალისტურია იმით ვხელმძღვანელობდეთ, რომ შესაძლებელია ხელშეუხებლად შევიწინააღმდეგოთ უნიტარული პარტია, რომელიც თავის დროზე უნიტარული სახელმწიფო შექმნა. და იმავდროულად ვიწყოდეთ ტოტალიტარული სისტემის დემონტაჟს; არარეალისტურია ისიც, თითქოს შესაძლებელი იყოს წინსვლა სუვერენული სახელმწიფოების კავშირისაკენ და ამავე დროს კონსტიტუციურად აღიარებული მრავალპარტიულობის პირობებში რესპუბლიკების კომპარტიები გვყავდეს რეგონული პარტორგანიზაციების უფლებებში, და კომპარტიების დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ვფიქრობდეთ ურთიერთობისა და ურთიერთკავშირის თვისებრივად ახალ ფორმებზე.

დღეს მხოლოდ რეალურად დამოუკიდებელ და თვითმყოფად რესპუბლიკურ კომპარტიას — ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომლის პრინციპულად დაცვას აპირებს აქ ჩვენი დღევანდელი საქართველოს კომუნისტთა ყრილობის დავალებით — ძალუქს გამოხატოს მთელი ხალხის ნება და ინტერესები, წარმატება მოაპოვოს მრავალპარტიულ არჩევნებში და განახორციელოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის ჩვენს მიერ შემუშავებული პროგრამა ეს გულანდილად უნდა ითქვას და არ უნდა ამოვეფაროთ ვითომდა მხსნელ, მაგრამ ძირითად მცდარ ფორმულას, რომლის თანახმად, ცენტრალიზმი თითქოსდა გვეერთიანებს, ხოლო თავისთავადობა და დამოუკიდებლობა — გვთითავს.

როგორც პოლიტიკურმა პრაქტიკამ გვიჩვენა, სწორედ ცენტრალიზაციის ცდებს მივყავართ

განცალკევებისკენ, ხოლო დამოუკიდებლობა და თანამშრომლობა ძველი გამაერთიანებელი ფაქტორია.

დამოუკიდებელი კომპარტიების ტენდენციად თანასწორუფლებიანი ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა, — განზე გადავსა კი არა, არამედ ერთმანეთს საკენ, პარტიის ახალი თვისებრივი მდგომარეობისაკენ, მის განახლებასაკენ გადადგმული ნაბიჯია.

ამასთან, კომპარტიების ნამდვილი დამოუკიდებლობის გარანტი შეიძლება იყოს მაკორდინებული ორგანოების ფორმირება და გადაწყვეტილებათა მიღება მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ საწყისებზე, რაც დავიცავდა უმრავლესობის მექანიკური უპირატესობისაგან.

რესპუბლიკის კომპარტია, რომელიც თავის რიგებში ერთიანებს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, სუვერენულ სტატუსს რომ დაიმკვიდრებს, მაშინ შეძლებს უფრო სრულად და რეალურად წარმოდგინოს და დაცვას არა მარტო ქართველების, არამედ აზნაურებისა და ოსების, რუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელების, ებრაელების, ბერძნებისა და ქურთების საარსებო ინტერესები, განავითაროს და განამტკიცოს ამ მხრივ ქართველი ხალხის უმდიდრესი ისტორიული ტრადიციები,

დასასრულ შევიხილო კიდევ ერთ საკითხს, რომელიც სერიოზულად გვაშფოთებს: ხომ არ ჩაიკითხა ჩვენი საზოგადოება და უსრულებელი ფუქსიტყვობის მორცხვა და ხომ არ გვაფიქრებდა მთავარი კონკრეტული საქმეები. სწორედ მათ მიხედვით და არა ჩვენ მიერ მიღებული რეგულაციების რაოდენობით იმსჯელებს ჩვენზე პარტია, ხალხი.

ისტორიისათვის მართლაც უცხობა კომპარტიის. ამიტომაც არ ჩვენს უამს — ჩვენი ყრილობა კი ახლა სერიოზულ ისტორიულ გზა-გასაყარზეა — ჩვენ მოვალენი ვართ მთელი სივრცე-სივრცით გავცინობით განახლების პროცესების აუცილებლობა და კანონზომიერება, გამოვიჩინოთ პოლიტიკური რეალიზმი, არ დავარგოთ ისტორიული შანსი, რათა შევუქმნათ აღმართების ღირსეული ცხოვრებისა და შემოქმედების პირობები.

### პროგრესულ ფორმებს ნერბავენ

შეტრეზობის პროგრესულ ფორმებს ნერბავენ საწარმოო ქობნარტივ სარეზონტო-შექმნიკური კომბინატის მშრომელები. მათ ივნისის თვეში დაგეგმილი 352 ათასი მანეთის წიგლად გამოიღებენ 400 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქტს.

განსაკუთრებით დაწინაურდა თაღვანი კონსტრუქციების საამქრო, რომელსაც თორნიკე ლომია ხელმძღვანელობს. მათ 70 ათასის წიგლად გასულ თვეში 105 ათასი მანეთის პროდუქტს შექმნენ. საქმის ცოდნით შრომობენ მამა-შვილები — არგელთ, ანზორ და ვანტანგ კუარაცხელი. მათ ორის

წიგლად თაღვანი კონსტრუქციის სამი კომპლექტი შეადგულეს. მუყაითობით გამოირჩევიან აგრეთვე ბორის დარსელია, მამუკა ჩოგვაძე, გიგა ფიფია, თენგიზ თოდუა და სხვები. ისინი ენერჯის არ იშურებენ, რათა მათი ნახელავი ხარისხიანი უწყნო გააჩვენდეს.

### ხელგადაღიანი ოსტატები

ზუგდიდის საგვარო ტექნიკური ცენტრის „გარანტი“ (დირექტორი შალვა კავაძე) მუშაები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ყველა ოჯახში უხარვეზოდ ციმციმდეს „ციხური ეკრანი“. მომსახურების ამ სფეროში მუშაობენ 6 თვეში გვიგური 159 ათასი მანეთის მაგიერ 165 ათას მანეთზე მეტი მომსახურება გაუწიეს ზუგდიდელ მშრომელებს. მათ არც ივნისის თვეში შეურცხვენიათ თავი და წიგლად გეგმიური 29 ათასის, 29.700 მანეთის სამუშაოები შესრულეს.

კოლექტივის საერთო წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით № 1 და № 1 ტელეზრეული რადიოტელევიზორიკოსებს. მათ შორის ვაჟა შენგელიას, ელგუჯა შვიდას, რევაკუკუას და სხვებს.

### ბორის ელცინი... ზუგდიდში

ზუგდიდში და ამ წერილის ავტორს.  
სტუმარმა და მისმა მეუღლემ, სვერდლოვის მუზეუმის მეცნიერთა სამსახურში დათვლილთა ქალაქის კომბინატი, მშენებარე ფაქტორის ქარხანა და ენგურპეი. დიდი ინტერესით გაეცინე მუზეუმის ისტორიულ მასალებს, იყვნენ ჩაის პლანტაციებში. ნახეს რეგიონის სხვა ღირსშესანიშნაობანი. კმაყოფილები იყვნენ, რომ გაიზიარებინათ თავიანთი ცოდნა და წარმოდგენა საქართველოზე, ჩვენს ხალხზე, მის

ისტორიულ წარსულზე. ბევრს გვესაუბრნენ რუსეთზე, ურალზე, მსობლიურ ქალაქზე, გამოთქვეს მოსაზრებები მრავალ საკითხზე მათი პერსპექტივის პროგნოზირებით, რომელთაგან მრავალი დღეისათვის წინასწარმეტყველურად ახლა...  
აღბათ, ზუგდიდისა და ზუგდიდობის მცირე წვილიცაა იმ თბილ, კეთილ ურთიერთგანწყობილებებში, რომელიც რუსეთის ბირველ პრეზიდენტსა და ქართველებს შორის დღეისდღობით სუფევს.

გონელი მიქაილიძე.

თუთას ოდითგანვე სათუთად უვლიდნენ შრომისმოყვარე, ადამიანები. ყურადღების ცენტრში იყო მებაბრეშუმეთა წახალისება. მათი მონღოების, ენთუზი-

სახელმწიფოს ჩაბარეს 2159 კილოგრამი ნედლეული.  
ასევე პარკის ჩაბარების გეგმები გაანადგურეს ნარაზენის, კითაყყარის, ახალბასთუბნის,

## უმაჯრესია პასუხისმგებლობა

აზმის შედეგად ყოველწლიურად დიდდებოდა პარკის წარმოება. რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში, ჩვენს რაიონში? ათასგვარმა დაავადებამ თითქმის გადაშენების კარამდე მიყვანა ძვირფასი მცენარე, საგრძნობლად უმცირდა ჰეის საყვები ბაზა, მაგრამ ენთუზიასტებმა შრომაზე როდი იტყუეს გულო.  
ბევრი მებაბრეშუმე საქარმდამო ნაკვეთზე სანიმუშოდ უფლის თუთასა და პირნათლად ასრულებს ვალდებულებას. ჭეროვანი ყურადღება ექცევა მოწინავეთა წახალისებას.  
ბევრ კოლექტივში ფართოდ დაინერგა შრომის პროგრესული მეთოდები. ვიზარდა მებაბრეშუმეთა საზღაური, რამაც განამტკიცა წარმატება. ბევრმა კოლექტივებში, ინდივიდუალურად თანე შრომაში.  
აბრეშუმის ხარისხიანი პარკის ჩაბარების გეგმა გადატეხებით შეასრულეს ჭიხაშვილის კოლექტივებში მშრომლებმა. მათ 2140 კილოგრამის ნაცვლად

კოლხიდის, ნაცატუს, ჩხოროისა და ტყაიის კოლმეურნობებმა. პარკის უხვი მოსავალი მიიღო ჭკადუაშელმა გურამ ჭინჭოლაძემ. მან 188 კილოგრამი აბრეშუმის ხარისხიანი პარკი ჩააბარა სახელმწიფოს. ორსანტიელ ლულია ჭკარაიის ანგარიშზეა 150 კილოგრამი. გეგმები პირველებმა შეასრულეს კახათელმა ქუჩა ფანცულაიამ, ტყაიელმა ნიურა ჩიქოვანიამ, კორცხელმა ნაირა ლაშვიამ და სხვებმა.  
პარკის წარმოება ყოველწლიურად იდიდებენ ორსანტიელები ცილა ლატარია, ილუმა ხაზოლია, გრიგოლიშვილი ზინა სამუშაი და სხვები. ბოლო სამი წლის მონაცემებით მათ რაიონში სხვებზე მეტი პარკი ჩააბარეს სახელმწიფოს. შრომატოვანად დაუფასდათ. შარშან სამივე მებაბრეშუმე რეგარეშე მიიღო მსუბუქი ავტომანქანა.  
მეთორმეტე ხუთწლიის დამატარებელ წელს დიდი ამოცანებია დასახული. სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 41000 კილო-

პატრეცემული მკობველო, შეიძლება გაგვიკვირდეთ, გაიფიქროთ კიდევ „საიდან სადაო“, მაგრამ გთხოვთ ნუ აჩქარდებით...  
დიხ, ამ თხუთმეტობდე წლის წინათ სვერდლოვის ოლქის მაშინდელი ხელმძღვანელი საქართველოს ეჭვით. იგი მოიპატივა ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ახლადდანიშნულმა მეორე მდივანმა (სხვათაშორის სვერდლოვადან გადმოყვანილმა) გენადი კოლბინმა.  
ზუგდიდში ორი დღის განმავლობაში მასპინძლობის გაწევა მოგვიწია ქალაქის მაშინდელი ერთერთ ხელმძღვანელს ქეზაფ

ჯრამი აბრეშუმის ხარისხიანი პარკი. დღემდე ჩაბარებულია 29700 კილოგრამი.  
აბრეშუმის რთველი გრძელდება. ბოლო ხუთი წლის მონაცემებით ველზე შეკამდება შრომითი კოლექტივების, ინდივიდუალის გარჯის შედეგებზე. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი პრემიები, სიგელები თუ ფასიანი საჩუქრები. ბევრიც რეგარეშე შეიძენს მსუბუქ ავტომანქანას.  
ყველა კოლექტივს, ინდივიდს წარმატების ფუსტრეებთ!  
ბ. ბახანძე.

## რა უშლის ხელს?

აუცილებელი პრობლემების მწვეი დეფიციტის პირობებში რომ ვცხოვრობთ, ამას ყველაზე და ყველაფერში ვგრძნობთ, მაგრამ ისეთ რესპუბლიკაში, როგორც საქართველო, საყვირველი ხილ-ბოსტნეული რომ გვქონს.  
უქანსკენლ ორ წელწადში ყოველდღე ხილ-ბოსტნეულის ფასი ისე მატულობს, რომ მოსახლეობას უჭირს საქოლმეურნეო ბაზარში მათი სამმაგ ფასებში შექენა.  
ეს იმიტაც არის გამოწვეული, რომ ჩვენს ქალაქში გახსნილი ხილ-

ბოსტნეულის მაღაზიები სრულებით ვერ აკმაყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნებს, ისინი ფორმალურად არიან, მხოლოდ ხანდახან თუ გამოჩნდება იქ უხარისხო კარტოფილი ან ხახვი.  
რატომ არ უნდა იყოს ჩვენს მაღაზიებში მაღალხარისხიანი ბოსტნეული, რა უშლის ხელს მათ მომარაგებას საჭირო საქონლით? ამზე ასატუს ვითხოვთ შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებისაგან.  
ბ. ალშიბაძე, შრომის ვეტერანი.

## განსჯროლები უმელებ

### ეროვნული კოლორიტით გამთავარი

რუსთაველის თეატრის ახალგაზრდული დასი საქართველოს სახალხო არტისტის გიწო უორდნიას ხელმძღვანელობით ამ დღეებში ზუგდიდს ეჭვით. თუ თვალს გადავავლებთ თეატრის ადგილს და მოვიხილავთ მისი დიფერენციაციას ასაკისა და განათლების მიხედვით, შევაჩვენებთ, რომ თითქმის ყველა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფში პირველადი რუსთაველის თეატრია. როგორც ჩანს, ამ თეატრში მოწონების კრიტერიუმად ასახელებენ სპექტაკლების მხატვრულ დონეს, მსახიობთა თამაშს, რეჟისორის ნაშუუვარს და სხვა მხატვრულ პრინციპებს. „სამანიშვილის დედინაცვალი“ — ასე ეწოდება სპექტაკლი, რომელიც თეატრის ახალგაზრდულმა დასმა შემოგვთავაზა. იგი ჯერ კიდევ სასწავლო თეატრის სცენაზე დაიდგა, როგორც სადემოლოზო სპექტაკლი. სწორედ, „სამანიშვილის დედინაცვალი“ იყო ერთ-ერთი სპექტაკლი, რომელიც დახადა აზრი, არ განცვალებებინათ ჯგუფის ხელმძღვანელი გიწო უორდნია თავის მოსწავლეებთან და თითქმის ყველანი ერთად ჩაერიცხათ რუსთაველის თეატრის დასში. წარმატება, რომელიც აღწერილეს ამ სპექტაკლმა მოუტანა, აღბათ უპირველეს ყოვლისა, გიწო უორდნიას დამსახურებაზე მიუთითებს. მოკლე დროში „სამანიშვილის დედინაცვალი“ სარეპერტუარო სპექტაკლად იქცა იგი თითქმის უცვლელად იქნა გადატანილი სასწავლო თეატრის სცენიდან პროფესიულ სცენაზე.  
გ. უორდნიას სპექტაკლმა, მისმა ანტიმემეურმა ბუნებამ,

ირონიულ-პაროდიულმა სტილმა თუ გრატულაციულმა მიმართებამ შესანიშნავი ნაწარმოების ის უცნობი თვისებები გამოავლინა, მანამდე რომ არ იყო შეცნობილი და დადასტურა კიდევ დავით კლდიაშვილის მოთხრობის სრულიად ახალი სცენური ინტერპრეტაციის ლოგიკრობა, ცნობილი მწერლის მოთხრობის სრულიად არაორდინალურმა ინტერპრეტაციამ მისცა დასახაში.  
გ. უორდნიას მიერ შეთხზულ განსხვავებულ ნათეატრო მოდელს, ეტყობა, რეჟისორმა ადრინდელი ძიებები ყველაზე უფრო დასრულებული სახით სწორედ ამ სპექტაკლში გამოხატა და მან ნათლად დაგვანახა, რომ გ. უორდნიამ შეძლო მოთხრობის მარადიული მნიშვნელობის განვტრეტა. მოქმედი გმირების კარნავალური ხასიათის ამოცნობა და მწერლის უანრული ენთეტიკის დრმა წვდომა. აღბათ არ არის საკამათო, რომ როგორც ყველა კულტურულ ქვეყანაში, საქართველოშიც მწერლობა დიდ ზეგავლენას ახდენს თეატრზე, განსაზღვრავს კიდევ მის შემოქმედებით, სულისკვეთებას. მიუხედავად ამისა, ფიქრობთ თეატრისა და მწერლების ურთიერთობის პრობლემა მაინც სათანადო კომპეტენტობით არა აქვთ გარკვეული არც მწერლებსა და არც თეატრის მოღვაწეებს.  
„სამანიშვილის დედინაცვალი“ არ არის ის ნაწარმოები, რომელშიც გადმოღებულია უბრალოდ ცხოვრების ასლი. სპექტაკლის შთაგონების მთავარ

წყაროს რეჟისორისა და მსახიობებისათვის საკუთარი ცხოვრება და გრძნობება წარმოადგენს, რადგან ყოველი ნაწარმოები გრძნობისა და აზრის ერთგვარი შენაღობია. რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობების თამაშში იგრძნობა, რომ მათ შესისხლბორცებული აქვთ სცენაზე ერთმანეთის მოსმენის, ურთიერთპატივისცემის ჩვევა. მათ მიერ ინსცენირებული სპექტაკლი ხალხური იუმორის, სიმღერებისა და ოჯახური დრამის სიმბიოზია. მსახიობების თამაშში უმეტეს შემთხვევაში გამოირჩევა აბსოლუტური დამაჭრებლობით. მათი დექსია სისხარტება და მიწიდეგლობასთან ერთად სავსეა დრამატროვანი დაკვირვებებით თუ პარალელებით. დიდ ტაქტიკით, ყოველგვარი ხაზგასმისა და ძაღდატაქტების გარეშე, მახვილების ზუსტი განაწილებით გამოხატავს სათქმელს შეღანო (მსახ. ჭ. ჩხეიძე). წარმოადგენის გული, მისი ეპიტეტი პლატონ სამანიშვილია (მსახობი მ. ნინიძე), არისტოქვაშვილის (მსახ. გ. კაპანაძე) სახე ხასიათის საინტერესოდ განვითარების შესაძლებლობას ქმნის. აგრეთვე ცხენის როლიან ბრწყინვალე შესრულებით მას სწორად მიჰყავს თამაშის ფსიქოლოგიური ნაკადა. ბეკინა სამანიშვილია (მსახ. ი. მაქარაშვილი) და ელენემ (მსახ. ნ. შონია) სპექტაკლისათვის შესატყვისი ნაციონალური კოლორიტით გამთავარი გარემო შექმნეს. სეროოდ, წარმოადგენაში ყველაფერი ეროვნული სუ-

ლითაა გამსჭვალული.  
გ. უორდნიას „სამანიშვილის დედინაცვალი“ ეპიზოდები გადაჭავეულნი არიან მიწვე-შედევობრივ კავშირის რქინისებური ლოგიკით. ის, რაც ახლა ხდება, აუცილებელი შედეგია იმისა, რაც ადრე მოხდა. შემთხვევა, გაუგებრობა ან რამიმე კაპრიზი ამ ლოგიკას ვერ არღვევს. მსახიობები ყოველ სიუჟეტურ პერიპეტოიას აღიქვამენ, როგორც საშუალებას და მიწვეს თავისუფალი იმპროვიზაციის მწერლისეულ თემაზე.  
სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ჩვენი ქალაქის სცენაზე განხორციელებულ გ. უორდნიას მეორე სპექტაკლსაც („ამაღამ მგონი იქნება ქარი“) გარკვეული წარმატება ხვდა მაჰურებელში. (სპექტაკლი დადგმულია ბორის ვასილევის რომანის („ხვალ ომი იყო“) მიხედვით. შესანიშნავი მთავარი როლების შემსრულებელთა სია: გონი კაპანაძე, ნანა შონია, ქეთი ჩხეიძე, ნანუკა ზუსკივაძე, ნინო თარხან-მოურავი, ირაკლი მაქარაშვილი...  
სპექტაკლში წარმოდგენილი დრო მოიცავს სტალინის ეპოქას თავისი აქსესუარებით. წარმოდგენის ბევრი მნიშვნელოვანი ეპიზოდი მუსიკალური და პლანტიური სახიერების წყალობით აძლევს მაჰურებელს იმ ინფორმაციას, რომელსაც ბ. ვასილევის რომანის ტექსტი შეიცავს და არ ეწინააღმდეგება მწერლის იდეურ და ესთეტიკურ მრწამსს სპექტაკლის აქტიორული შესრულება, რეჟისურა, მხატვრობა, მუსიკა მაღალ დონეზე

გადაწყვეტილი, მაგრამ საკუთარი პიესა, მიუხედავად იმისა, რომ აქტუალურ თემას ეხება, ვფიქრობთ, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მაჰურებლის მოთხოვნილებებს. ბ. ვასილევის პიესა ერთობ პოლიტიკეზული შთაბეჭდილებას სტოვებს, რა გორც ჩანს ამ ნაკლმა რუსთაველის თეატრისაგან დამოუკიდებელი მიწვეების გამო იჩინა თავი. პლასტიკური სახიერების ის ნაკადი, რომლითაც აღბეჭდილია სპექტაკლი, იმ ისტორიული მომენტის ფსიქოლოგიურ ასპექტებითაც უნდა აიხსნას, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ. სპექტაკლი რამდენიმე გადატვირთულია და ეს მოსაზრება აღბათ სტობს გულანდილად გავაზიანოთ. შემოაღნიშნული გარემოება შეიძლება აიხსნას იმიტაც, რომ ლიტერატურული პირველწყარო, რის სასუფველზეც იქმნება სპექტაკლი, მაშინ იყარბს მაჰურებელს, როცა მწერალს ერთი შეხედვით თითქოს შეუმჩნეველი თანამედროვე ცხოვრების ისეთი მტკივნეული საკითხები გამოაქვს ხამა სჯავროზე, რომლებიც სინამდვილეში განსაზღვრავენ რეალურ ყოფას.  
როცა გ. უორდნიას სპექტაკლებს უყურებ, ისე ნათლად იგრძნობა რეჟისორის ხელწერა, რომ ნაცობი აქციენტები უკვე თავიდანვე იქცევენ ყურადღებას და იმ ელერალობას იძენენ, მოქმედების განვითარება რომ თხოულობს.  
ზუგზარ გულორდიაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების ლიტერატურული კონსულტანტი.

ეროვნული მოძრაობის ფართო  
მასშტაბით გაშლა-განვითარების  
მიმდინარე პერიოდში, როცა სა-  
ქართველოს მომავალი პროფესი-  
ის ღრმად დაუფლებულ, ზეო-

სენიოთ აგრეთვე ახალგაზრდა პედა-  
გოგო, ინსტიტუტის მეთოდისტი მი-  
მოწა გოგია, რომლის საუბრებშიც  
ღრმად შთაბეჭდილებას დატოვა  
მსმენელებზე. მან ურადღება

ყოფიან, ზუგდიდის რაიონის  
სახალხო განათლების განყოფილ-  
ების მეთოდისტი, რესპუბლიკის  
დასახურებულმა მასწავლე-  
ბელმა ვ. ნაყებამ, იურისტმა

### პედაგოგთა მეთოდური დახლოვნებისათვის

ბრძალ სრულყოფილი თაობის  
ჩამოყალიბებას მოითხოვს, პედა-  
გოგთა მეთოდურ დახლოვნებას  
დედი მნიშვნელობა ენიჭება, ეს  
დავას არ იწვევს. არც ისა სა-  
კმაოთ, რომ სწავლა სიკვდილია-  
მდეა. სწორედ ამ განწყობით  
ჩატარდა ისტორიის მასწავლებელთა  
კვალიფიკაციის ამაღლების  
კურსები ზუგდიდის მასწავლე-  
ბელთა დახლოვნების ზონალ-  
ურ ინსტიტუტში (დირექტორი  
კარლო მიქაია).

გამახვილა იმ ასპექტზე, რომ  
მთავარია არა მხოლოდ ის,  
რას ასწავლი, არამედ როგორ,  
რა ფორმითა და ხერხებით ას-  
წავლი.

შინაარსიანი ლექციებით დი-  
დად აამაღლეს მსმენელთა იდე-  
ურ-მეცნიერული დონე ინსტი-  
ტუტის დირექტორის მოადგი-  
ლემ სასწავლო მუშაობის და-  
რგში პ. ჯანჭღავამ, პედაგოგიკა-  
უსიკოლოგიის კაბინეტის გამგემ,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდი-  
დატმა გ. ქორთუამ, აღმზრდე-  
ლობითი მუშაობის კაბინეტის  
გამგემ მ. ჭაღარამ, სამეცნიერო  
ცენტრ ზუგდიდის ისტორიული  
მუზეუმის დირექტორმა, ისტორი-  
ის მეცნიერებათა კანდიდატმა  
გ. არახშიამ, ისტორიის მე-  
ცნიერებათა კანდიდატმა ჯ. ნა-

მ. ჭკალუამ.

კურსები მსმენელთა მაღალი  
ქტურობით წარინარა, მოწეუო  
და გაკეთილი, დილოგი და  
სხვა.

კურსების დონე მთლიანად პა-  
სუხობდა სადღესო მოთხოვნებს,  
წინა პლანზე იყო წამოწეული  
ისტორიის სწავლებაში სიახლეთა  
დანერგვის, მუნიციპალიტეტის, საქა-  
რთველოს მართალი ისტორიის  
სწავლების, მოსწავლეთა ზნეობ-  
რივი აღზრდის, რელიგიის და  
სხვა საკითხები.

ინსტიტუტის მიერ დაგეგმი-  
ლი ღონისძიებები პრაქტიკულ  
ხორციელებისას გამოვლენს პრაქტი-  
კულ საქმიანობაში.

აბდულ ლუქაბა,  
ხობის პირველი საშუალო  
სკოლის მასწავლებელი.

ღარია თუ ავღარია,  
ხელი ასე რამ დაშრია,  
ცულ გრძობაზე რომ ვარ...  
თუ ცხოვრება ზღაპარია,  
აღბათ, ჩემო მახარია,  
წასვლის დრო რომ მოვა,  
გასულ დღეებს გავიხსენებ,  
თვალის ცრემლით დავისველებ  
და დრომ თუ მადროვა,  
გავიბრძოლებ ერთხელ კიდევ,  
ამდენ ჭირთა გადაშვიდე  
დღეს ცოცხალი რომ ვარ...  
რომ იშლება იმპერია,  
ხარობს ჩემი ივერია  
და გვეშველოს ეგებს!  
თუმცა, რომ ვთქვათ, მივიკის  
დღესაც,  
რუსულ ანგესს ასე ბეცად  
როგორ წამოვივით.  
მთელი ძალით გავიბრძოლებ,  
დღეს ან ხვალე მოვიშორებ  
ნაცარს თვალში მოყრილს  
რას მიქვია რუსის ქარი,  
(მათი თუ მაქვს გულში ჯარი).  
მათ ბოძებულ ბორკილს  
ნახოს რა დღე დავაწიო  
და თავი თუ დავაღწიო

იმ წინაობის უღელს...  
რაც კი ცოცხლობ შელზე  
მივიკის,  
ფეხსაც თრევით დავაბიჯებ  
და იმ ბოლმას უღელს,  
ყველას უკან დავუბრუნებ...  
ცას და მიწას ვალუღუნებ  
კალმის ერთი მისმით.  
ყელს ამაყად ავადრებ,  
კიანურსაც ავამდრებ,  
ვით უფლება მოსილს;  
შემქმნება ჩემზე ჩემი  
ვთქვა და სხვისგან დანარჩენი—  
დანაყვედრი არც მსუსს.  
მამულს ტუბილს და სანეტაროს,  
ახლოს აღარ გავაჯარებ  
ეშმასა და ავსულს.  
მეყო რაც კი დავაშავე...  
მამულს აღარ გავაჯარებ  
მავანსა და მავანს.  
შვილს არ ჰქონდეს სატირალი,  
სხვა რამ ჰქონდეს საფიქრალი,—  
შვილებს ზრდიდეს მრავალს...  
მერე მიქელ-გაბრიელი  
შავ სიკვდილის სახიერი  
მოზარდანდეს და წავალ.  
მასტანგ გულზე.

#### სად გაქრა?

ინგლის ჩაის მეტრნობა-  
კომბინატს ემსახურებოდა სამარ-  
შრეტო ავტობუსი №19, რომე-  
ლიც კარგახანია გაქრა, რამაც  
გაგვირთულა ქალაქთან კავშირი.  
გთხოვთ თქვენი გაზეთის  
მეშვეობით გავიწვიოთ შეამდგ-  
ომლობა შესაბამის ორგანიზაცი-  
სთან, რათა აღდგეს ავტობ-  
უსის მოძრაობა აღნიშნული მი-  
მართულებით.

სოფლის მეცხოვრებთა სახელით:  
**ი. შპარტახაძე,**  
**მ. ხახია,**  
**ე. შაშვიანი,**  
**გ. კვარაცხელიძე,**  
**ნ. შპარტახაძე,**  
**ლ. მალიაძე** და  
სხვები.  
(სულ 12 ხელმოწერა).

#### სარედაქციო ფოსტა მოგვითხროს

### როდის მოწესრიგდება?

ყოველდღიურად და განსაკუთ-  
რებით პარასკევ - კვირა დღე  
ებში უამრავი ხალხი იყრის  
თავს საკლდეურნეო ბაზრის  
წინამდებარე ავტობუსების ვაჩე-  
რებასთან.

საათობით ელოდებიან ბაზრი-  
დან გამოსული მგზავრები ფაიფ-  
ურის, სინწის, რუხის, ზედაწე-  
რისა თუ წერეთლის ქუჩის  
მიმართულებით დანიშნულ ავტო-  
ბუსებს, მაგრამ ამოღო. ისინი  
დიდი დავიანებით მოდიან, სას-  
ტიჟად ირღვევა მოძრაობის გრა-  
ფიკი, დაქანცული მგზავრები  
კი შუა ქუჩაში ცდრილობენ  
ტაქსის ან კერძო მანქანის და-  
ქირავებას. ასეთ დროს  
მოქალაქეთა უსაფრთხოებისათვის  
არავითარი პირობები არაა შე-

ქმნილი, ხოლო ქალაქის ავტო-  
ინსპექციის მუშაობებს იშვიათად  
ნახავთ აქ. განსაკუთრებით სა-  
ფრთხეშია ბავშვები და მოხუც-  
ები.

ეს და სხვა დაბრკოლებები  
სამართლიან უკმაყოფილებასა  
და გულისწყრომას იწვევს  
მგზავრებში.

ყოველივე ამას გულმშვიდად  
უყურებენ ზუგდიდის სპეგზარო  
ავტოსატრანსპორტო საწარმოსა  
და ქალაქის ავტოინსპექციის  
მესვეურები.

ნუთუ შეუძლებელია აღნიშ-  
ნული სამარშრუტო ავტობუსები  
დადიოდნენ რეგულარულად, გრა-  
ფიკის სრული დაცვით?  
**ა. ალზიბაძე.**

### რამდენ ხანს ველოდოთ?

მეორე წელია არ მუშაობს  
წულუკიძისა და ვოროსკის ქუ-  
ჩაზე რადიოხაზი. ამ ქუჩების  
შტროფებთა მიერ ჯერ კიდევ  
გასულ წელს ცენობა კავშირ-  
გამსუღებლის რიგგარეშეობას,  
დღემდე მდგომარეობა არ შეც-  
ვლილა.

საინტერესოა, რამდენ ხანს  
ველოდოთ გაწყვეტილი რადიო-  
ხაზის აღდგენას ან რატომ არ

ზრუნავს ქალაქის ხელმძღვანელ-  
ობა ამისათვის?  
წულუკიძისა და ვოროსკის  
ქუჩის მეცხოვრებთა სახელით:  
**რ. გომიანი,** **რ. გვაჩაძე,**  
**გ. ბიგვაძე,** **ა. ჟოჯუა,**  
**ო. ბივილი.**

დღეა ცუდა, მეუღლე ზინა. შეი-  
ლეთი: ბოსლო, ხარგია, ლონდ-  
ერი, ინეზა, როზა, ზური, და გო-  
გოლა ძებები: რეზო, კოლია,  
ოძლები: მზია გამოსონია, ზოია  
ყვანია, ელისო მამფორია, დინა,  
ლუბა, ლენა, კლარა, ეთერი.  
შვილიშვილები: პაატა, ლაია, ეკა,  
კობა, მაია, ილია, მეოპი ლამზი-  
რა, ზაზა, შორენა, თამუნა, რუ-  
სიკო, თინათინი, ჯაბა, ჯინი,  
მისიშვილები: ლამარა, რუზენი,  
ქეთო, მზევი, რევაზი, გივი, ცე-  
ზარი, ბადრი, ნატო. ხანა, კახა.  
მისიშვილები: ემზარი, ვახტანგი,  
მურთაზი, სიძეები: რევაზი წყა-  
როზია, ლუდა ქუთელია, ჯანსუხი  
დარსელია, გურამი ბუკია, ბიძ-  
ები, დეიდები, ბიძაშვილები, მა-  
მიდაშვილები იუწყებიან  
ტერენტ არტემის ძე ბაქალაძის  
გარდაცვალებას. პანაშვილი 11,  
12, 13 ივლისს. დაკრძალვა 14  
ივლისს. გამოსვენება ქო-  
წყარო. რუსთაველის 115.

მეუღლე შაქრო, შვილები: ფა-  
ციკო, რევაზი, ძებები: ხუტო,  
ველოდი, დები: ქსენია, ბაბუცა,  
გეგემა, ისოლა. ოძლები: ზოია  
ქობალია, ეთერი შონია. ქუქა  
გამახარია. სიძეები პაატა გო-  
თოლენდია. მამია შედანი. მზა-  
ხალი ლენა გითოლენდია, შვი-  
ლიშვილები: ნინო, გონა, შველ-  
ევი, ინეზა, ლუბა, მისიშვილები,  
დისიშვილები, მულოშვილები, ბი-  
ძაშვილები, დეიდაშვილები მამი-  
დაშვილები ოჯახებით იუწყებიან  
ვენერა ალექსის ასულ  
ნაყებთა-მოსიას  
გარდაცვალებას. პანაშვილი 12,  
13 ივლისს. დაკრძალვა 14 ივ-  
ლისს სოფელ კახათში.

შვილი ნუგზარი, ოძლები: მთვა-  
რისა, მერი, შვილიშვილები: ნი-  
ნო, სვეტიცხოვე, ნონა, სესე,  
ძმა ლულუნი, დები: ქუჩუჩი, შუ-  
რა. მისიშვილები შაქრო, მეოპი-  
ბი, მალხაზი ჩახაიები, დისიშვილ-  
ები: ვალერი, ვალტერი, ავთო  
სიხარულეები, სიძეები კუქური  
სიხარულია, გედევანი წყაროზია,  
მასიშვილები: შორა, რეზო,  
ქსენია, ვარდმა ფიფიები, მე-  
ლოშვილი უდა ხარჩილავა, ბიძა-  
შვილები: ბიჭო, კატე, ბიჭოკო  
ჩახაიები, დეიდაშვილები: საბა,  
შონია, გენო ქარდავა, ახლო ნა-  
თესალები იუწყებიან  
**ნორა ანდრიას ასულ  
ჩახაია-ფიფიას  
გარდაცვალებას. პანაშვილი 12,  
13 ივლისს, დაკრძალვა 14 ივ-  
ლისს სოფელ შაქრონაში.**

კორცხელის სასოფლო საბჭო,  
კოლმეურნეობის გამგეობა, ობო-  
ნა და შრომის ეტერანთა საბ-  
ჭო, პარტიული, პროფკავშირული  
ორგანიზაციები იუწყებიან  
ლუკი ძოკიას ძე ლავილავას  
გარდაცვალებას.

შვილი რეზო, ოძლები: ნათელა  
ბალანჩივაძე, მარგო ქობალია.  
გულუა შარია, მიაა მჭედლიშ-  
ვილი, ნანა აბულაძე, ნატო კი-  
ტია, შვილიშვილები პეტრე, გო-  
ნა და კობა შარიები, შვილიშ-  
ვილები: რობერტი, ნინო შარი-  
ები, მისიშვილები, დისიშვილები,  
მელოშვილები, მასიშვილები,  
ახლო ნათესალები იუწყებიან  
**ლილია (ქიონია)  
ქობალია-შარიას  
გარდაცვალებას. პანაშვილი 12, 13  
ივლისს, გასვენება 14 ივლისს  
6 საათზე სერგოლოის ქუჩის  
პირველი შესასვლელი 5.**

შვილები: ქუქური, მურმანი,  
ოძლები: ნელი, ნათელა, გული  
ქანთარები, შვილიშვილები: ნო-  
ნა, ნუგზარი, ნინო, გოგიტა ქა-  
ნთარები, მარლი შალვა, მასიშ-  
ვილი გივი ქანთარები, მისიშ-  
ვილები: ანა, გენრი, დიდუბი,  
დისიშვილი მუზა, სიძე ანტიფო  
ქობალიები, ახლო ნათესალები  
იუწყებიან  
მამი (ქრისტინე) სამსონის ასულ  
დადუა-ქანთარას  
გარდაცვალებას. პანაშვილი 12,  
13 ივლისს. დაკრძალვა 14 ივ-  
ლისს. გამოსვენება ნინოშვილის  
ქ. 66.

#### გიფხვით სამოგზაურო!

ქ. ზუგდიდის საქსკურსიო-სამოგზაურო ბიურო ჩვენი ქალა-  
ქისა და რაიონის მუშა-მოსამსახურებებს თავაზობს შემდეგ  
საქსკურსიო დასასვენებელ მარშრუტებს:

16 ივლისიდან 15 დღიან საგზურებს კურორტ კისლოვოდ-  
სკში, საგზურის ღირებულება 220 მანეთია, ღირებულებაში  
შედის ცხოვრება კერძო ბინებში, სამკერადი კვება, ექსკურსი-  
ები და ტურისტების გადაყვანა ორივე მხარეს.

25 ივლისიდან 20-იანი საგზურები კურორტ ბორჯომში.  
საგზურის ღირებულება 220 მანეთია, ღირებულებაში შედის  
ცხოვრება კერძო ბინებში, სამკერადი კვება, ექსკურსიები  
ვარძიასა და ბაკურიანში, აგრეთვე ტურისტების გადაყვანა  
ორივე მხარეს.

საგზურების შეძენა შეგიძლიათ როგორც გადარიცხვით ასე-  
ვე ნაღდ ანგარიშზე. მიიღება ჩატუფური და ინდივიდუალური  
შეკვეთები.

დაწვრილებით ცნობებისათვის მიმართეთ ქ. ზუგდიდის  
საქსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს მისამართით:  
**ქ. ზუგდიდი, ლენინის ქ. №11, ტელ. 2-46-48, 2-64-28.**

დღეა დღო, მეუღლე როზა,  
შვილები, გურანდა, გიგა, და  
ნონა. ძებები: ჯავარი, რევაზი,  
ოძლები: იზო აბულაძე, მანანა  
როგავა, მადონა ქობალავა. სიდ-  
ელი თინა წულია, ცოლისდები:  
ლენა, ინეზა, ძებები: ლულუნი,  
დისიშვილები, დისიშვილები  
ბესიკი, ბეკანა, ბერდია, ვასო,  
სილაგაძეები, მისიშვილები: გურ-  
ტა, ეკა, მირიანი, სიძე ამირან  
სილაგაძე ქვისლები ვალერი აბ-  
სანძე, შაქრო შანავა, დეიდაშვი-  
ლები: უსია, იზო, ნანული, და-  
რჯან ფოფხაძეები. მამიდაშვილ-  
ები: ლუიზა გაბაშვილი, კონა,  
ბონდო, დიდიკო მამფორები,  
ახლო ნათესალები იუწყებიან  
**გურამ (ჯარგი) მირიანეს ძე  
ბაქკორიას  
გარდაცვალებას. პანაშვილი 10  
ივლისს, დაკრძალვა 12 ივლისს  
სოფელ ციხეში.**

საფეხბურთო კლუბი „ოდიში“ გაცნობებთ, რომ ჩამდინარე  
წლის 12 ივლისიდან ჩვენს სტადიონზე იწყებს მუშაობას  
საუნა-ვიდეობარი.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში“ მაღლობას უხდის „სოფ-  
კოლაშადადებისა“ და „მრეწველობის“ განყოფილებას, რომელ-  
მაც 8000 მანეთი გადარიცხა კლუბის ანგარიშზე (დირექტორი  
მურად გელოა).

საფეხბურთო კლუბი „ოდიში“.